# სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
# გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ქ. თბილისი, 0114 გ.გულუას ქ. 6, ტელ: +995 (32) 2720269


DES 0 22 00003823

25/01/2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

სამინისტროს, 2021 წლის 29 დეკემბრის№14057/01 წერილის საფუძველზე, 2022 წლის 10 იანვარს, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა ქ. თბილისში, ალექსეევკის დასახლებაში განთავსებული შპს ''მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი''-ს (ს/კ 205295893) კუთვნილი სამედიცინო ნარჩენების გაუნვებელყოფის (ინსინერაცია) საწარმოს ტერიტორიის დათვალიერება, სამინისტროსთან შეთანხმებული, საწარმოს კონსერვაციისა და ექსპლუატაციის შეწყვეტის დეტალური პროექტით (გარემოზე ზემოქმედების №000289 ნებართვა, 2017 წლის 9 ოქტომბრის№72 ეკოლოგიური ექპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე განხორციელებულია ინსინერატორის სადემონტაჟო სამუშაოები, ამოღებულია დაკონსერვებული ნაცრის სარკოფაგი, რომელიც გადატანილია ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №24-ში არსებული შპს ''მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი''-ს კუთვნილი საწარმოს ტერიტორიაზე.

ამასთან, ინსპექტირების პროცესში ტერიტორიაზე სამედიცინო ნარჩენები არ დაფიქსირდა, ტერიტორია იყო დასუფთავებული, ხოლო სარკოფაგის ადგილი დაკონსერვებულია ბეტონის ფილით. ასევე, გაუქმებულია აღნიშნული ტერიტორიის იჯარით გაცემის ხელშეკრულება შპს "მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი''-სა და ტერიტორიის მესაკუთრეს სს "სპეცჰელიოთბომონტაჟი"-ს (ს/კ 202886387) შორის.

აქვე წარმოგიდგენთ ინსპექტირების მასალებს.

დანართი: 15 ფურცლად;

პატივისცემით,

**ირაკლი მუკნიაშვილი**
**დეპარტამენტის უფროსი**